

2010 წლის საველე-გეოლოგიური პრაქტიკა შატილში

2010 წლის 9 ოქტომბერს, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გეოლოგიური დეპარტამენტის პირველი კურსის მაგისტრები, ბ-ნ ნოდარ ფოფორაძის და ბ-ნ სულხან გველესიანის ხელმძღვანელობით გავემგზავრეთ ხევსურეთის გეოლოგიური აგებულების გასაცნობად და ღირშესანიშნაობების დასათვალიერებლად. ამ პერიოდში მთაში ამინდი ხშირად ირევა, მაგრამ, საბედნიეროდ, ბედმა გაგვიღიმა და მზე დაგვნათოდა მთელი მოგზაურობის განმავლობაში.

ჟინვალის გადასახვევიდან გზა მიუყვება სოფლებს: ჩინთი, გუდრუხი, თვალივი, შემდეგ თვალი მოგვწყვიტა ჟინვალის წყალსაცავმა, გავიარეთ სოფ. მაღაროსკარი, მდინარეები ჩარგლურა და ლიქოკი, სოფ. კორშა, მდ. ჩირდილი, სოფ. ბისო და სოფ. ხახმატი, სადაც პირველად შევისვენეთ. ჩვენს გარშემო შესანიშნავი ბუნება გადაიშალა, მაღალ მწვერვალზე მოჩანდა პირველი თოვლი და მთის ფერდობებზე შეფენილი ცხვარი. სოფ. ხახმატიდან გზა გრძელდება დათვისჯვრის უღელტეხილისკენ. ეს ჩვენ მიერ გასავლელი გზის ყველაზე მაღალი წერტილია და მდებარეობს ზღვის დონიდან 2655 მეტრზე. უღელტეხილზე თოვლი დაგვხვდა, რამაც ცოტა არ იყოს შეგვაშინა კიდევაც. გადავდით პირიქითა ხევსურეთში და თოვლი უკან მოვიტოვეთ. შემდეგ გავიარეთ სოფლები: კისტანი, ლებაისკარი და მივადწიეთ დანიშნულების წერტილს – შატილს, რომელიც ზღვის დონიდან 1400 მეტრზე მდებარეობს.



ჟინვალის წყალსაცავი



სოფ. ხახმატი



დათვისჯვრის უღელტეხილი

შატილში ჩასულებს წინ უღამაზესი ხედი გადაგეშალა. მდ. არღუნის ხეობაში, მარცხენა ფერდობზე შეფენილმა კოშკებმა ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. საოცარია, ძველ დროში როგორ ააშენეს ასეთი ნაგებობები და თან ისეთი გამძლეობის, რომ დღემდე უცვლელი სახით არის შემორჩენილი. აღსანიშნავია, რომ საშენ მასალად გამოყენებულია თიხა – ფიქალი, რაც ამ ხეობაშია გავრცელებული.



შატილი

პირიქითა ხევსურეთის ყველაზე მნიშვნელოვანი ჰიდროგრაფიული ერთეული მდ. არღუნი სათავეს ხევსურეთის სუბმერიდიანული ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთებიდან იღებს. სოფ. შატილთან მას მარცხნიდან ერთვის ბროლივით კამკამა მდ. შატილის წყალი. მდ. არღუნის წყალშემკრები აუზის ფართი 1700 კმ² შეადგენს, ხოლო აუზის საშუალო სიმაღლე 2020 მ-ია. როგორც ყველა მთის მდინარე, მდ. არღუნიც ქანობის მაღალი სიდიდით და არასტაბილური ჰიდროგეოლოგიური რეჟიმით ხასიათდება. მდინარის სათავეებში ყაზბეგ-ლაგოდეხის ტექტონიკური ზონის ქვედა იურის ტოარსული სართულის ქანები შიშვლდება, რომლებიც ლითოლოგიურად შავი თიხა-ფიქლებით, ალევროლითებით, იშვიათად კონგლომერატების შუაშრეებით არის აგებული.



შავი თიხა-ფიქლები და ალევროლითები,
კონგლომერატების შუაშრეებით



გამოფიტვის ფორმები

გვხვდება თხელშრეებრივი და მასიური ქვიშაქვების გამოსაგლებიც. მდინარის დინების შუა წელი უმთავრესად ააღენის თიხა-ფიქლებით არის წარმოდგენილი, რომლებშიც თიხიანი სიდერიტის და ქვიშაქვების კონკრეციები და შუაშრეები გვხვდება. ქვემო დინებაში მდინარის ხეობა პლინსბახის წყებაში არის ჩატრილი. აქ გავრცელებულია ასპიდური და ნორმალური თიხა-ფიქლები ალევროლითების და წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვების შუაშრეებით. აგრეთვე გვხვდება შიგაფორმაციული კონგლომერატების ლინზები და ბაზალტების განფენები. აღნიშნული სტრატეგრაფიული ერთეულები (ტოარსი, ააღენი, პლინსბახი) ერთმანეთისაგან საერთო კავკასიური მიმართების რეგიონული რღვევებით არის გამოყოფილი. ზოგადად, პირიქითა ხევისურეთის გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკური სურათი ძალზე რთულია.



რთული ტექტონიკური აგებულება

ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრების შემდეგ გავარკვიეთ, რომ მთაში განსხვავებული წესები და ტრადიციები აქვთ. შატილის დათვალიერებისას გზად სასაფლაო შემოგვხვდა, დაგვაინტერესა და შესვლა გადავწყვიტეთ, მაგრამ აგვიხსენეს, რომ ამ ადგილზე მხოლოდ მამკაცებს აქვთ შესვლის უფლება და ისიც მხოლოდ ხატობის დღესასწაულზე. მთაში ჩასულ დამთვალიერებელს დიდი

ყურადღება და თავშეკავება მართებს, რათა უნებლიედ არ დაარღვიოს იქ არსებული ტრადიციები.



კოშკში გახსნილი სასტუმრო

ადგილობრივ მოსახლეობას კოშკები მეტ-ნაკლებად კეთილმოწყობილი აქვს. ზაფხულში აქ უამრავი ტურისტი იყრის თავს და კოშკში ღამის გათევის მსურველებიც საკმაოდ ბევრნი არიან. ეს ხეობის მოსახლეობის შემოსავლის წყაროსაც წარმოადგენს. ჩვენ დავბინავდით ბატონ ნიკოლოზ ჭინჭარაულის ოჯახში. მასპინძელმა გვიამბო შატილის ტრადიციების შესახებ, მის ბავშვობაში იქ თურმე 30 – მდე ოჯახი ცხოვრობდა, ახლა კი მათი რიცხვი სამწუხაროდ 7-ია.



ახალი შატილი



ჩვენი მასპინძლის სახლი

მეორე დღეს, გეოლოგიურ მარშრუტთან ერთად, განზრახული გვქონდა დაგვეთვალიერებინა ხევსურეთის ის სოფლები, რომელთა დათვალიერებაც ვერ მოვასწარიით პირველ დღეს. ეს სოფლებია: ანატორი, არდოტი და მუცო.

პირველად მოვინახულეთ სოფელ ანატორის საძვალე. მან ჩვენზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ანატორის საძვალე წარმოადგენს ოთახის მსგავსი რამდენიმე ნაგებობის კომპლექსს. ისინი მაშინ ააშენეს, როდესაც ხევსურეთში გავრცელდა შავი ჭირი. შავი ჭირით დაავადებული ადამიანები მიდიოდნენ ამ

შენობაში და იქ ელოდნენ თავის აღსასრულს. თავდაპირველად აქ შემორჩენილი ჩონჩხები სრულყოფილად იყო შენახული, მაგრამ შემდეგ იქ ჩასულმა დამთვალიერებლებმა მოიპარეს ძეგლები, რის შედეგადაც ადგილობრივი მოსახლეობა იძულებული გახდა გისოსები დაედოთ სარკმლებისთვის. ჩვენ ზუსტად ასეთ მდგომარეობაში დაგვხვდა ანატორის საძვალე, თუმცა შიგნით შეხედვა შესაძლებელია და ასევე შეგვიძლია სანთელი დავანთოთ სპეციალურ სასანთლეში, რომელიც მოთავსებულია სარკმელში. როდესაც შევიხედეთ შიგნით საკმაოდ მძიმე სურათი, გადაგვეშალა თვალწინ, რაც მდგომარეობს იმაში რომ ოთახის იატაკი მოფენილია სხვადასხვა ზომის ჩონჩხის ნაწილებით. სოფელ ანატორთან მდ. მუცოსა და მდ. არღუნის შესართავთან, ერთ-ერთ მთის თხემზე განლაგებულია სასაზღვრო პუნქტი. აქ არის სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და ჩეჩნეთს შორის.



სოფ. ანატორის საძვალე

შემდეგ გზა გავაგრძელეთ სოფელ არღოტისკენ, რომელიც ჩვენი მარშრუტის ბოლო სოფელი იყო. გზა მიუყვება მდ. არღუნის ხეობას. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ღამაზი მდინარის ხეობა, რომელიც ოდესმე დაგვითვალიერებია. სოფელი არღოტი შეფენილია ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მთაზე, მდინარე მუცოს ხეობაში. ამ სოფელში ცხოვრობს მხოლოდ ერთი ოჯახი, თუმცა, ნასახლარების რაოდენობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წარსულში ის საკმაოდ დიდ სოფელს წარმოადგენდა.



სოფ. არდოტი

სოფელ არდოტის დათვალიერების შემდეგ გამოვბრუნდით უკან სოფელ მუცოსკენ. გზად შეგვხვდა საკმაოდ დიდი სასაფლაო. აქ უცნაური არის ის, რომ საფლავეების უმეტესობა წარმოადგენს ქვების ვერტიკალურ გროვებს. აგვისსნეს, რომ ეს არის ახალგაზრდა, დაუოჯახებელი მეომრების საფლავეები, რომლებიც ბრძოლებში დაიდუპნენ.



მეომართა საფლავეები

სოფ. მუცო მდებარეობს სოფელ არდოტსა და სოფელ ანატორს შორის. ზღვის დონიდან 1820 მ-ზე. მისი სილამაზე ყველა ადამიანში აღფრთოვანებას იწვევს, გამონაკლისი არც ჩვენ ვართ. სოფელი აშენებულია კლდეზე. კოშკების სიმრავლე მთლიანობაში ერთ დიდ სოფელს წარმოადგენს. დანახვისთანავე ადამიანს ებადება კითხვა: როგორ ააგეს ამ შეფენილ კლდეზე დიდი სოფელი? თუმცა, ეს გასაკვირი არაა იმ ხალხისგან, ვინც მარადუამს თავისი თავისუფლებისთვის იბრძოდა, ხოლო თავისუფლების ჟინი და სურვილი პირდაპირ აისახება მათ გარემომცველ ბუნებაზე. კოშკების უმრავლესობას რესტავრაცია სჭირდება, ხოლო დანარჩენი კარგ მდგომარეობაშია. სავარაუდოდ სოფელი აგებულია იმ მიზნით, რომ მტრის შემოსევების დროს ხალხი კოშკებში იკეტებოდა,

ეს კოშკები ერთმანეთს გვირაბებით უკავშირდებოდა. ეს ადგილი ოდიშგანვე საქართველოს კარიბჭედ ითვლებოდა.



სოფ. მუცო

დავტოვეთ პირიქითა ხევსურეთი წარუშლელი შთაბეჭდილებებით და მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ კვლავ დავბრუნდებით.

შემდეგი, იმედია, მთათუშეთი იქნება.